დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "Front-end დეველოპმენტი" და „ბაღის დიზაინი“ განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

ნანა მონიავა

ცოტნე ქორჩილავა

ქეთევან გელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 226157342

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 24 ივნისის №739616 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და "Front-end დეველოპმენტი" და ,,ბაღის დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალებით გაირკვა, რომ ა.წ. 17 ივნისს წერილით N MES 7 24 0000682875 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს ინფორმაციით, რომ შერჩეულ 20-მდე საჯარო სკოლაში მიმდინარეობს ინტეგრირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების დანერგვის პროცესი 2024 წლის მიღებისთვის, წერილში აღნიშნული იყო, რომ აღნიშნული პროგრამები დანერგვა არის ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის, ასევე იმისათვის, რომ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს სასკოლო გარემოშივე მიეცეთ შესაძლებლობა დაეუფლონ პროფესიულ განათლებას, რაც მათ შემდგომ რეალიზებას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს.
20 ივნისის N MES 9 24 0000714411 წერილით კი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რომ რადგან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტებიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას, სკოლები საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის, საჭიროებენ პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენას, რასაც განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებს/სკოლებს, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მიზნით შერჩეულ საჯარო სკოლებში ერთერთს წარმოადგენს ჩვენს მიერ საავტორიზაციო ქ. ბორჯომის N3 საჯარო სკოლა, რომელმაც წარადგინა განაცხადები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ბაღის დიზაინი“ და ,,Front-end დეველოპმენტი“ დამატების მიზნით (ცენტრში რეგისტრაცია 17/06/2024 N684653, 19/06/2024 N703214).

ამის შემდეგ 24 ივნისის N MES 6 24 0000739114 წერილით კი პროფესიული უნარების სააგენტომ მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს, რათა ეცნობებინა, რომ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კოორდინაციით, აქტიურად ჩართულია პროგრამების დანერგვის პროცესში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უჭერს დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მოძიებაში და ასევე მხარს დაუჭერს მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადის, ზემოაღნიშნული წერილების და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ავტორიზაციის ექსპერტების მიერ მხედველობაში იქნებოდა მიღებული ზემოაღნიშნული გარემოებები წინამდებარე დასკვნის პროექტის შემუშავებისას.

აღნიშნული ვიზიტისთვის წინასწარ შედგა დღის წესრიგი და და 2024 წლის 10 და 11 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში, სადაც ავტორიზაციის ექსპერტებმა დაორგანიზეს ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამების განმახორციელებლებთან, ასევე დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლა.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შეფასდა სკოლის ხედვა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, პროგრამის განსახორციელებლად განკუთვნილი შესაბამისი დოკუმენტაცია, პროფესიული განათლებისთვის განსაზღვრული ინფრასტრუქტურა, ადამიანური, მათ შორის ადმინისტრაციული რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა.

ამავე დროს, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში შეფასების მიზნით გამოყენებული იქნა თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებები.

როგორც წინასწარ იყო ცნობილი, დაწესებულებას განაცხადდთან ერთად ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, რომლის გათვალისწინებითაც განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მომზადება და სტანდარტების შეფასება.

სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს - კალათბურთი, ვიზუალური დათვალიერების მიხედვით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტიანად წარიმართოს სპორტის მოდულის სწავლება, თუმცა, რეკომენდებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგის, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისის მიღება.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შესაძლებელს ხდის სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა-დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად, თუმცა, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია განისაზღვროს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირიც და ადმინისტრაციული ფუნქციის მქონე პირების გადამზადება პროფესიული სწავლების სპეციფიკის მიმართულებით.

ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნის პროექტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
FRONT-END დეველოპმენტი	☐ შეესაბამება [redacted] მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება [redacted] მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ბაღის დიზაინი	☐ შეესაბამება [redacted] მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება [redacted] მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „FRONT-END დეველოპმენტი“

2.2.1.1. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს საგანმანათლებლო სივრცეების გარემოების აღჭურვა მატერიალური რესურსით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის დანართის შესაბამისად დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

2.2.1.2. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შევსება დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

2.2.1.3. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარება დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

2.2.1.5. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის მოძიება/განვითარება დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბაღის დიზაინი“

2.2.1.1. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს საგანმანათლებლო სივრცეების გარემოების აღჭურვა მატერიალური რესურსით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის დანართის შესაბამისად დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.2. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შევსება დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

2.2.1.3. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარება დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

2.2.1.5. დაწესებულებამ საჭიროა მოახდინოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის მოძიება/განვითარება დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

ინსტიტუციური სტანდარტებისთვის

4.1.1.1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებისთვის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებასა და დასახული მიზნის მიღწევას. საჭიროა დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ვადების დაცვით (2025 წლის 17 დეკემბრამდე, 18 თვის ვადაში). გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, ამდენად, ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

4.1.1.2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას და საჭიროა დაწსებულებამ გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით (2025 წლის 17 დეკემბრამდე, 18 თვის ვადაში). ამდენად, ინდიკატორი ნაწილობრივ

შესაბამისობაშია.V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1. სასურველია სპორტული დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ დაადგინოს განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისის მიღება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიცია სრულად იქნა გაზიარებული დაწესებულების მიერ.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისიაა „ისტორიულ ღირებულებებზე დაყრდნობით მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება, ერთიანი პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფერხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინება, რათა აღზარდოს მოაზროვნე, მაძიებელი და აქტიური მოქალაქე“.
   ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით სკოლის მისია შეესაბამება „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში დეკლარირებულ ისეთ პროფესიული განათლების მიზნებს, როგორიცაა ერთიანი პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცის შექმნა და ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
   შესაბამისად, ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.
2. სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მისიის შინაარსი არის მარტივად გასაგები. მასში იკვეთება დაწესებულების ფართო პროფილი, ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მრავალფეროვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.
   მისიიდან, იკვეთება, რომ სკოლა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს/პროფესიულ სტუდენტებს მიიღონ როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლე/პროფესიული კონკურენტუნარიანობაზე, ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზაციაზე და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიონალი კადრების მომზადებაზე.
   შესაბამისად, ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია, მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის მისიიდან გამომდინარეობს მისი ხედვა და ღირებულებებიც, რომელიც თავსებადია დაწესებულების მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს.
   დაწესებულების ხედვაში განცხადებულია რომ 2023-2030 წლებში დაწესებულება დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამებს. სკოლის ღირებულებებში ჩამოყალიბებული შემდეგი პრინციპები - გამჭვირვალობა, მიუკერძოებულობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება, ინოვაციურობა და გუნდურობა კი ხელს შეუწყობს სკოლის მისიის მიღწევადობას.
   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, რომეთა მონაწილეობა დასტურდება სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის N133 ბრძანებით, რომლითაც შექმნილი იქნა ჯგუფი, ამ ჯგუფის მიერ შეგროვებული იქნა სათანადო ინფორმაცია კითხვარების საშუალებით, დაამუშავა მონაცემები, გაანალიზა და სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებს მიაწოდა დასამტკიცებლად. ვინაიდან, აღნიშნულ ორგანოებში შედიან როგორც პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლეები, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.
   მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია, ასევე, სკოლის ვებგვერდზე, დაწესებულების ხელმძღვანელის ინფორმაციით იგი ამავე დროს გამოკრულია დაწესებულების ფოიეში თვალსაჩინო ადგილზეც, რითაც დასტურდება, რომ ისინი საჯაროდაა გაზიარებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.
   ამდენად, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები;
- სკოლის ვებგვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1942?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%963%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
- სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოადგენილი იქნა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები და მათი დამტკიცების ბრძანებები, რომელშიც გაწერილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვისა და გარანტიების მექანიზმები: კერძოდ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის პროცედურები და მექანიზმები (39,40,41 მუხლები); პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი (8 მუხლი); ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან“(60,61,62,63,64,65 მუხლები); მობილობა-რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ დებულებებთან (42,43,44,45,46 მუხლები); პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალური გეგმებით (70, 71 მუხლები); შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების სწავლება (მუხლი 37); საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები (66 მუხლი); შეფასების პროცესის ადმინისტრირების და შეფასების შედეგების აპელაციის წესები და პროცედურები (მუხლი 47);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესი ასევე შეიცავს აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის, ინფორმირების, გასაუბრების, საკონკურსო კომისიის შექმნის, განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის წესებს, ჩასარიცხად საჭირო წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს და სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურებს (13,14,15,16 მუხლები).

პროფესიული სტუდენტის უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების შესახებაც, რომელიც დისციპლინური გადაცდომის ზომიერია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მუხლი 48 და მუხლი 49 განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურას. ასევე, შემუშავებულია სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის დასადები ხელშეკრულების ფორმა (მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში), რომლითაც გარანტირებულია სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის ბრძანებით №131/1 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომლითაც დარეგულირებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხები პროფესიული სტუდენტებისათვის. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძ. N130/1; 07.06.2024) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის თანახმად, პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრებს. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას გაუწევს დირექტორის მოადგილე (სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი). პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულმა სტუდენტებს მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე. დებულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისთვის საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტის მიწოდებას, რომელიც დაეხმარება მას შიდა პროცესების ადაპტაციაში. პროფესიული სტუდენტების მიერ, საკუთარი უფლებების გაცნობა დადასტურდება, პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმით . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, ატვირთულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (თავი III და IV), რომლის თანახმად პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, ასევე, მათი უფლების შესახებ, რომ შეუძლიათ შეფასების შედეგების გასაჩივრება. ასევე, გათვალისწინებულია კონსულტაციების განხორციელება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან.

   გარდა ამისა, სკოლის დებულებით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლის ჩატარება სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, თვეში არანაკლებ ერთხელ. ადმინისტრაციული პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ საჭიროების შემთხვევაში რიგ გარეშე შეხვედრებიც ჩატარდება.

   სკოლა პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის კონტექსტში ასევე ითვალისწინებს კონსულტაციების განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, რაც გაწერილია პროფესიული მასწავლებლის უფლება-მოვალეობებშიც, კერძოდ, რომ მათი ვალდებულებაა პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს კონსულტირება, მათ შორის შეფასების სისტემაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებითი ჩატარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3. შესაბამისობაშია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს: ხელშეკრულების საგანს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას რომელზეც პროფესიული სტუდენტი იქნება ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მისი შეწყვეტის წესს და სხვა დებულებებს. აქვეა განსაზღვრული, რომ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელეკრულებას ხელს აწერს დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი ან შშმ/სსსმ პირის შემთხვევაში (საჭიროებების მიხედვით) მისი კანონიერი წარმომადგენელი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში და **აღნიშნულის გათვალისწინებით დაადგინა, რომ ინდიკატორი 3.1.1.4. შესაბამისობაშია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის, გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**
5. დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება. აღნიშნული დებულების IX თავი ეთმობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის 71-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სპეციფიკა, აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს სპეციალისტი სსსმ/შშმ პირის საჭიროების გათვალისწინებით. ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებობისას, ასეთი პირი მოიწვევა ზსდ-ის მიერ. სსსმ/შშმ პირის სასწავლო პროცესში ჩართვა, სწავლებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება წარმოებს სპეციალისტისა და შესაბამისი კომპეტენციის/უფლებამოსილების მქონე პირთა ჩართულობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები (ბრძანებაN 139, 17.06.2024);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (ბრძანება №130/1, 07.06.2024);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (ბრძანება №129/1, 07.06.2024);
- სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი;
- სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ინტერვიუ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბორჯომის N 3 საჯარო სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობისა და კვალიფიკაციის დოკუმენტი (დამტკიცებულია 17.06.2024 წ სკოლის დირექტორის N140 ბრძანებით) ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელება, მაგალითად, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით, მათი ადმინისტრაციული რესურსი ფრიად შეზღუდულია და ექსპერტთა რეკომენდაციაზე, რომ საქმეთა მწარმოებელს სასურველია შეთავსებული ჰქონდეს პროფესიული განათლების მართვის ერთერთი უმთავრესი ოპერაცია - რეესტრის წარმოება, განაცხადეს, რომ საქმეთა მწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობები ძალიან დატვირთულია და გაუჭირდება ახალი მოვალეობის შეთავსება. მათ აღნიშნე, რომ აცნობიერებენ რა, პროფესიული განათლების ხარისხიანად განხორციელების მნიშვნელობას, ისინი გეგმავენ გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. შესაბამისად სკოლის დირექტორის N146 (17.06.2024) ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები (2025 წლის 17 დეკემბრამდე, 18 თვის ვადაში).
   შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით განსაზღვრულია ვადები 18 თვის ოდენობით და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. აღნიშნულით დაკმაყოფილდება ინდიკატორის მოთხოვნა. სკოლის წარმომადგენლის ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის მართვასა და კარიერული დაგეგმვასა და პროფესიულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებლობა ამ ეტაპზე შეთავსებული ექნებათ მოქმედ თანამშრომლებს, რაც განსაზღვრულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N137 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, ინდიკატორი 4.1.1.1. მოთხოვნა - დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

სსიპ ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის დირექტორის N140 ბრძანებით (17.06.2024 წ) დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლ პირთა სამუშაო აღწერილობისა და კვალიფიკაციის დოკუმენტი" მოიცავს თანამშრომელთა ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერას, ისინი არ ფარავენ ერთმანეთს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი სრულყოფილად არ აღწერს ყველა იმ პირის სამუშაოა აღწერილობასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ვინც უნდა განახორციელოს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად, **მაგ. სასურველია განისაზღვროს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირიც.** დირექტორის N146 (17.06.2024) ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები რათა სკოლამ გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში (2025 წლის 17 დეკემბრამდე, 18 თვის ვადაში). მიმდინარე ეტაპზე ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით **ინდიკატორის 4.1.1.2. მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია და დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები" რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობას და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №142 ბრძანებით კი დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ამ დოკუმენტის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიზანია დაწესებულებაში სწავლების ხარისხის, სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდებისა და საგანმანათლებლო ყველა ტიპის რესურსის, პერსონალის განვითარებისა და პროგრამების განხორციელების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება–განახლებაზე ზრუნვა. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.1.3. მოთხოვნა - დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების" მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძ.N140;17.06.2024);
- ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები'' (ბრძ. N142; 17.06.2024);
- სასწავლო პროცესის მართვასა და კარიერული დაგეგმვასა და პროფესიულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (ბრძანება N137, 17.06.2023)
- დირექტორის N146 (17.06.2024) ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ხელშეკრულება ხარისხის მართვის მენეჯერთან;
- ინტერვიუს შედეგებით.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №143 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე. **ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**
2. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №143 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით. სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის ახალი თანამშრომლის აყვანისას, დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით. დაწესებულებაში დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსით შერჩევის, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. პერსონალი შესაძლოა დანიშნულ იქნას დანიშვნის აქტით - ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**
3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი 4.1.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №143 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება. დაწესებულების სტრუქტურა, ასევე, ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით. **ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი";
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №143 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის და განვითარების პოლიტიკა";
- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში; Secondary Vocational Qualification in Front-end Development
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის ბრძანება N134
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	სსიპ ქ. ბორჯომი, შოთა რუსთაველის ქ. N97
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

Front-end დეველოპმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
Front-end დეველოპმენტი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებში პროფესიული პროგრამის დამატების პროცედურები გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის ბრძანებით N130/1, რომლის თავი I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება, გაუქმება განსაზღვრულია შემდეგი რეგულაციები და პროცედურები: მუხლით 1. დებულების სამართლებრივი საფუძვლები/რეგულირების სფერო, მუხლით 2. განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლები, მუხლით 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, მუხლით 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მუხლით 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება, მუხლით 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, მუხლით 7 კი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება.
   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სსიპ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის გადაწყვეტილება შესაბამის დასაბუთებას ეფუძნება და დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილით, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყოველწლიურად ატარებს შრომის ბაზრის ანალიზს, სადაც განხილულია შრომის ბაზრის სტატისტიკა, დასაქმება სექტორულ ჭრილში, შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვები და სხვა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტოს მიერ ჩატარებული „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2023“ დოკუმენტის თანახმად, ერთ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთი მოთხოვნადი მიმართულება საქართველოში, რომელზე მოთხოვნაც სულ უფრო და უფრო იზრდება გახლავთ საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულება, კერძოდ კი Front-end დეველოპმენტის სპეციალისტებზე. აღნიშნულ სექტორში ბოლო წლების განმავლობაში დასაქმების მაჩვენებლები მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ეს განპირობებულია სამუშაოს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებით, რაც ხიბლავთ ახალგაზრდებს და ამავდროულად მაღალანაზღაურებადობით. აღნიშნული ქვეჯგუფიდან მაღალი მოთხოვნაა სხვადასხვა პროფილის პროგრამისტებზე (68%) და მონაცემთა ბაზის დიზაინერებზე (8%).

გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ასევე შეესაბამება, სკოლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების მისიაა „ისტორიულ ღირებულებებზე დაყრდნობით მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება, ერთიანი პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფერხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინება, რათა აღზარდოს მოაზროვნე, მაძიებელი და აქტიური მოქალაქე“.

აღნიშნული მისია შეესაბამება „პროფესიული განათლების შესახებ კანონში დეკლარირებულ ისეთ პროფესიული განათლების მიზნებს, როგორიცაა ერთიანი პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცის შექმნა და ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო ინტეგრირებული პროგრამა ეხმიანება კოლეჯის მისიას, რომელიც მრავალპროფილურია და წინააღმდეგობაში არ მოდის მასთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა სკოლას მისი განხორციელება, რომელიც სრულად შეესაბამება დაწესებულების პროფილს, მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროგრამის დაგეგმვასთან და შემუშავებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქამდე არ ჰქონია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება, პროგრამის შემუშავება და დანერგვა პირველ ჯერზე განხორციელდა დაწესებულებაში დანერგილი პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიისგან განსხვავებულად. თუმცა, სამომავლოდ, პროგრამის დამატება განხორციელდება სკოლაში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების პროცედურების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. Front-end დეველოპმენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა 10 კლასის დამთავრება. დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია. პროგრამის განხორციელების ვადა გაწერილია ორი წელზე (17 სასწავლო თვეს ანუ 69 სასწავლო კვირა). საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**
3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (თავი X), რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურისა და მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

FRONT END დეველოპმენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი A/B აუდიტორია. რომელიც გათვლილი იქნება 15 პროფესიულ სტუდენტზე. შესაბამისად აღნიშნული აუდიტორია უზრუნველყოფს 30 პორფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობას ორ ცვლაში. სკოლაში არის ერთი შიდა და ერთი გარე სპორტული მოედანი. აღნიშნული სპორტული მოედანების დატვირთვის მაჩვენებელი უზრუნველყოფს როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობას. სკოლაში საერთო სივრცეების სარგებლობის რეგულირება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის ბრძანებით N 130/1 მუხლით 73. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები. ასევე, სკოლაში განსაზღვრულია მოეწყოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორია, რომლისთვისაც არის გამოყოფილი სივრცე. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია Front-end დეველოპმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (დამტკიცებული დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის ბრძანებით N134) გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მოდულებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. განსაზღვრული სასწავლო რესურსების რაოდენობა, ტექნიკური მახასიათებლები და საკმარისობა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების პირობით. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**
5. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
6. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-21 მუხლის, ამავე წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, FRONT END დეველოპმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №134 ბრძანებით. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**
7. FRONT END დეველოპმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (დამტკიცებული დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის ბრძანებით N134) დასახელება არ შეცვლილა და იგივეა რაც პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში. იგი სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არაა შეცდომაში შემყვანი. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს. პროგრამის სწავლის შედეგებია:
   - შექმნას ვებ გვერდის მომხმარებლის ინტერფეისი;
   - შექმნას ინტერაქტიული ვებ გვერდი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განახორციელოს ვებ გვერდის ოპტიმიზაცია;
- განახორციელოს ვებ პროექტის ვერსიების კონტროლი;
- უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია, ასევე, განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან - ISCED – 1013-თან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი front end დეველოპმენტი front end development სარეგისტრაციო ნომერი - 06.1.1. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სხვ. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანამანათელბლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება (17.06.2024. N134)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება(07.06.2024; N130/1 ბრძანება);
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის სკოლაში იგეგმება A/B გარემოში. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი ჯერ არის სრულყოფილად შესყიდული სკოლის მიერ.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა მოიცავს „სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს დაწესებულებას არჩეული აქვს ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და ფრენბურთის მიმართულება, რომლის განსახორციელებლად სკოლა გამოიყენებს საკუთარ ინფრასტრუქტურას, ხოლო ინვენტარის/აღჭურვილობის შეძენა განსაზღვრულია შესაბამისობის გეგმით.

ვინაიდან, პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად პროფესიული მოდულების განსახორციელებლად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის განხორციელება, სკოლაში დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N149 ბრძანებით (17.06.2024) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში).

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 20.06.2024 წლის №714411 წერილი, სადაც იგი მიმართავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრსა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიებს, რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 18 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. თუმცა, ვინაიდან დაწესებულება აცნობიერებს პროფესიული მოდულების მასწავლებლების რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუმჯობესების საჭიროებას, წარმოდგენილი აქვს მის შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში), სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. **ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ მზაობა აითვისონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით, თუმცა, რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის კომპეტენციას, ისინი საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას, დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). გარდა აღნიშნულისა, ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით. მისი ფუნქციები, ანაზღაურება და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს არის თავისი საქმის მცოდნე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპეტენტური, სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.**

5. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, რისთვისაც, დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). **ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. 2024 წლის 07 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით №130/1 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტი“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება N134, 17.06.2024;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება N130/1, 07.06.2024;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი;
- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წერილი;
- ვიზუალური (ფოტოებით) დათვალიერების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის №130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულება, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით, დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულება რეგულარულად განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. პროგრამის შეფასებისთვის სკოლაში შემუშავებულია კითხვარები:
    - სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა
    - მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი
    - მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ
    - კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი
    - ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი

   ასევე, სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N148 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.

2. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის №130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულების თანახმად, დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა. **ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულება;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N142 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულია დირექტორის მიერ 2024 წლის 17 ივნისს ბრძანებით N134 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც დანართის სახით ერთვის არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმები. აღნიშნული სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას და ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით სასწავლო ცხრილების შედგენისას განუხრელად იქნება დაცული იგი. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური და სავალდებულო წინაპირობები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**
2. დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულების თანახმად, დაცულია პროფესიული სტუდენტის ინტერესები. დაწესებულება განახორციელებს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით მოახდენს რეაგირებას მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება, რისთვისაც დაწესებულებას აქვს აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.
   დებულებით რეგულირდება, ასევე, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. სტუდენტებს აქვთ, ასევე, მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დებულებები ითვალისწინებს, ასევე, ვერიფიკაციისა და ინტეგრირებული მოდულების შეფასების მექანიზმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ობიექტური შეფასება. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**
3. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანმანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, ტავად პროგრამითა და მოდულების სპეციფიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,**
4. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება საჭიროების შემთხვევაში. ამისთვის დაწესებულებას აღწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა (მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულებაში), რომლის თანახმადაც, სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ამდენად, ინდიკატორი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი/პარტნიორი ორგანიზაცია. **ინდიკატორი 2.4.1.5. დაკმაყოფილებულია.**
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დარგის სპეციფიკა არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებულ, საოფისე საქმიანობისგან განსხვავებულ ნორმებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით და თვითშეფასების შესწავლით ვლინდება, რომ სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად მოხდება ევაკუაცია, საჭიროების შესაბამისად დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, დაწესებულებაში, როგორც სასწავლო ისე სამუშაო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში. ამდენად, **ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,** სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება(ბრძანება N130/1, 07.06.2024);
- უსაფრთხოების ზოგადი წესები;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით), რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისა. ასევე, პროფესიული სტუდენტის შეფასების რეგულაციები, რომლის შესაბამისად დაწესებულება უზრუნველყოფს შედეგების დადასტურების პროცესის სწორად, წარმართვას, რაც უზრუნველყოფს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობასა და ობიექტურობას. რეგულაციის შესაბამისად კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ ისინი სრულად აცნობიერებენ ინდიკატორის მოთხოვნას და გეგმავენ განახორციელონ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების სისტემატიური გადამზადება, შეფასების ინსტრუმენტების განვითარება, ვალიდაცია, გეგმიური ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფა. პროგრამებში გამოიყენებს განმავითარებელ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი შეფასებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. სკოლის მიერ შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით), სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომლის თანახმად ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობს: პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები (საჭიროების მიხედვით), ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია რისკების სისტემაც, რაც დაეხმარება დაწესებულებს ვერიფიკაციის პროცესის მართვაში. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**
3. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით) დაწესებულების მიერ გაწერილია შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისი გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ ინახება არქივში 5 წლით შემდეგ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის ან გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**
4. სკოლას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, დაიგეგმება შესაბამისის ღონისძიებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით);
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ბაღის დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ბაღის დიზაინში Secondary Vocational Qualification in garden design
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2024 წლის 17 ივნისის N134 დირექტორის ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქ. ბორჯომი, რუსთაველის ქუჩა N97 , სსიპ ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	145
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ბაღის დიზაინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ბაღის დიზაინი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3.
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებში პროფესიული პროგრამის დამატების პროცედურები გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის ბრძანებით N 130/1, რომლის თავი I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარება, გაუქმება განსაზღვრულია შემდეგი რეგულაციები და პროცედურები: მუხლით 1. დებულების სამართლებრივი საფუძვლები/რეგულირების სფერო, მუხლით 2. განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლები, მუხლით 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, მუხლით 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მუხლით 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება, მუხლით 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, მუხლით 7 კი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება.
   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სსიპ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის გადაწყვეტილება შესაბამის დასაბუთებას ეფუძნება და დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილით, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყოველწლიურად ატარებს შრომის ბაზრის ანალიზს, სადაც განხილულია შრომის ბაზრის სტატისტიკა, დასაქმება სექტორულ ჭრილში, შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვები და სხვა. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ასევე შეესაბამება, სკოლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილების ერთ-ერთი განმაპირობებელი იყო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების მხრიდან ზოგადად დიზაინის და მათ შორის ბაღის დიზაინის მიმართ დიდი დაინტერესება.

სკოლის მისია ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას. პროგრამა, ასევე, შესაბამისობაშია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, სადაც ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად სწორედ პროფესიული პროგრამების დანერგვა და განვითარებაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომელიც სრულად შეესაბამება სკოლის პროფილს, მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროგრამის დაგეგმვასთან და შემუშავებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქამდე არ ჰქონია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება, პროგრამის შემუშავება და დანერგვა პირველ ჯერზე განხორციელდა დაწესებულებაში დანერგილი პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიისგან განსხვავებულად. თუმცა, სამომავლოდ, პროგრამის დამატება განხორციელდება სკოლაში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების პროცედურების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

1. ბაღის დიზაინის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა 10 კლასის დაძლევა. დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია. პროგრამის განხორციელების ვადა გაწერილია ორი წელზე (19 სასწავლო თვეს ანუ 76 სასწავლო კვირა). საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**
2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის ბრძანებით N 130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (თავი X), რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურისა და მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

   ბაღის დიზაინის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი A/B აუდიტორია. რომელიც გათვლილი იქნება 10 პროფესიულ სტუდენტზე. შესაბამისად აღნიშნული აუდიტორია უზრუნველყოფს 20 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობას ორ ცვლაში. სკოლაში არის ერთი შიდა და ერთი გარე სპორტული მოედანი. აღნიშნული სპორტული მოედანების დატვირთვის მაჩვენებელი უზრუნველყოფს როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობას. სკოლაში საერთო სივრცეების სარგებლობის რეგულირება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის ბრძანებით N 130/1 მუხლით 73. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები. ასევე, სკოლაში განსაზღვრულია მოეწყოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორია, რომლისთვისაც არის გამოყოფილი სივრცე. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

3. დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. დაწესებულების მფლობელობაშია, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მოდულებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას აქვს ბაღის დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ორი აუდიტორია. ერთი, სადაც ჩატარდება დარგობრივი მოდულები (B გარემო). ხოლო მეორე აუდიტორია სადაც ჩატარდება ინტეგრირებული მოდულები და განთავსებული იქნება შესაბამისი ლაბორატორია (A გარემო). აუდიტორიებში არის 15 მაგიდა და სკამი სტუდენტებისთვის, ასევე მასწავლებლისთვის მაგიდა და სკამი, დაფა, პროექტორი. დარგობრივი მოდულებისთვის დაწესებულებას საჭირო აღჭურვილობიდან აქვს საბაღე იარაღების მცირე ნაწილი, კერძოდ, ბარი, თოხი, ფოცხი 6-6 ცალი, სეკატორი, ნიადაგების ნიმუშების ნაკრები. ასევე დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი კომპიუტერები. პროგრამისთვის განკუთვნილი აღჭურვილობიდან განსაზღვრულია შემდეგი ჩამონათვალი: საინერციო სახაზავი (რეიშინა),სახაზავი, სამკუთხა სახაზავების კომპლექტი, მოძრავი კუთხე ტრანსპორტირით, ფარგალი, სათლელი, პალოები, საზომი რულეტი 20მ, საზომი რულეტი 50მ, ფოტოკამერა, GPS-ნავიგატორი, დრეკადი ლეკალო, საქაღალდე პლანშეტი, სამხატვრო სკამი (ტუმბო) , სახატავი სადგამი , სახატავი , თაბაშირის ფიგურა (სფერო, ცილინდირ, კონუსი და კუბი - თითოეული) , თიხის დოქი, წყლის ჭურჭელი,თიხის ფიალა დაწესებულებას არ აქვს და გეგმავს შეძენას.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

4. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-21 მუხლის, ამავე წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ბაღის დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №134 ბრძანებით. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**
6. ბაღის დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება არ შეცვლილა და იგივეა რაც პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში. იგი სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არაა შეცდომაში შემყვანი. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს. პროგრამის სწავლის შედეგებია:
   - დაიდენტიფიციროს დეკორატიულ მცენარეები;
   - დაიდენტიფიციროს ნიადაგის ტიპები და მცენარეების მავნე ორგანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეისწავლოს და აზომოს საპროექტო ტერიტორია;
- მოამზადოს ესკიზები;
- დააგეგმაროს ბაღის საინჟინრო და მხატვრული ელემენტები;
- შექმნას ბაღის პროექტი ხელით და კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ბაღის დიზაინი სარეგისტრაციო ნომერი - 08.1.1. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სხვ. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანამანათელბლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება (17.06.2024. N134)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაწესებულების მფლობელობაშია, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მოდულებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას აქვს ბაღის დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ორი აუდიტორია. ერთი, სადაც ჩატარდება დარგობრივი მოდულები (B გარემო). ხოლო მეორე აუდიტორია სადაც ჩატარდება ინტეგრირებული მოდულები და განთავსებული იქნება შესაბამისი ლაბორატორია (A გარემო). აუდიტორიებში არის 15 მაგიდა და სკამი სტუდენტებისთვის, ასევე მასწავლებლისთვის მაგიდა და სკამი, დაფა, პროექტორი. დარგობრივი მოდულებისთვის დაწესებულებას საჭირო აღჭურვილობიდან აქვს საბაღე იარაღების მცირე ნაწილი, კერძოდ, ბარი, თოხი, ფოცხი 6-6 ცალი, სეკატორი, ნიადაგების ნიმუშების ნაკრები. ასევე დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი კომპიუტერები. პროგრამისთვის განკუთვნილი აღჭურვილობიდან განსაზღვრულია შემდეგი ჩამონათვალი: საინერციო სახაზავი (რეიშინა),სახაზავი, სამკუთხა სახაზავების კომპლექტი, მოძრავი კუთხე ტრანსპორტირით, ფარგალი, სათლელი, პალოები, საზომი რულეტი 20მ, საზომი რულეტი 50მ, ფოტოკამერა, GPS-ნავიგატორი, დრეკადი ლეკალო, საქაღალდე პლანშეტი, სამხატვრო სკამი (ტუმბო) , სახატავი სადგამი , სახატავი , თაბაშირის ფიგურა (სფერო, ცილინდირ, კონუსი და კუბი - თითოეული) , თიხის დოქი, წყლის ჭურჭელი,თიხის ფიალა დაწესებულებას არ აქვს და გეგმავს შეძენას.

   პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა მოიცავს „სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს დაწესებულებას არჩეული აქვს ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და ფრენბურთის მიმართულება, რომლის განსახორციელებლად სკოლა გამოიყენებს საკუთარ ინფრასტრუქტურას, ხოლო ინვენტარის/აღჭურვილობის შეძენა განსაზღვრულია შესაბამისობის გეგმით.

   ვინაიდან, პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად პროფესიული მოდულების განსახორციელებლად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

   იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის განხორციელება, სკოლაში დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N149 ბრძანებით (17.06.2024) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 20.06.2024 წლის №714411 წერილი, სადაც იგი მიმართავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრსა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიებს, რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

1. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 20 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 4 - პროფესიულ დარგობრივ მოდულებს. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. თუმცა, ვინაიდან დაწესებულება აცნობიერებს პროფესიული მოდულების მასწავლებლების რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუმჯობესების საჭიროებას, წარმოდგენილი აქვს მის შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). **ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**
2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ მზაობა განივითარონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით, თუმცა, რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის კომპეტენციას, ისინი საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას, დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). გარდა აღნიშნულისა, ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

3. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით. მისი ფუნქციები ანაზღაურება და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს არის თავისი საქმის მცოდნე, კომპეტენტური, სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.**
4. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, რისთვისაც, დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №149 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები (2024 წლის 17 დეკემბრამდე, 6 თვის ვადაში). **ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**
5. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. 2024 წლის 07 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით №130/1 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**
6. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი;
- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წერილი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის №130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულება, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით, დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე დაწესებულება რეგულარულად განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. პროგრამის შეფასებისთვის სკოლაში შემუშავებულია კითხვარები:

- სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა
- მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი
- მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ
- კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი
- ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი

ასევე, სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N148 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.

2. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის №130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულების თანახმად, დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა. **ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულება;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N142 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულია დირექტორის მიერ 2024 წლის 17 ივნისს ბრძანებით N134 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც დანართის სახით ერთვის არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმები. აღნიშნული სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას და ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით სასწავლო ცხრილების შედგენისას განუხრელად იქნება დაცული იგი. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური და სავალდებულო წინაპირობები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**
2. დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისს ბრძანებით N134 დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულების თანახმად, დაცულია პროფესიული სტუდენტის ინტერესები. დაწესებულება განახორციელებს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით მოახდენს რეაგირებას მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება, რისთვისაც დაწესებულებას აქვს აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.
   დებულებით რეგულირდება, ასევე, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. სტუდენტებს აქვთ, ასევე, მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დებულებები ითვალისწინებს, ასევე, ვერიფიკაციისა და ინტეგრირებული მოდულების შეფასების მექანიზმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ობიექტური შეფასება. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებითა“ (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანმანთლებლო მასალებთან, კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, ტავად პროგრამითა და მოდულების სპეციფიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,**
4. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება საჭიროების შემთხვევაში. ამისთვის დაწესებულებას აღწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა (მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების დებულებაში), რომლის თანახმადაც, სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი/პარტნიორი ორგანიზაცია. **ინდიკატორი 2.4.1.5. დაკმაყოფილებულია.**
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დარგის სპეციფიკა არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებულ, საოფისე საქმიანობისგან განსხვავებულ ნორმებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით და თვითშეფასების შესწავლით ვლინდება, რომ სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად მოხდება ევაკუაცია, საჭიროების შესაბამისად დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, დაწესებულებაში, როგორც სასწავლო ისე სამუშაო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში. ამდენად, **ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,** სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით);
- უსაფრთხოების ზოგადი წესები;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით), რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისა. ასევე, პროფესიული სტუდენტის შეფასების რეგულაციები, რომლის შესაბამისად დაწესებულება უზრუნველყოფს შედეგების დადასტურების პროცესის სწორად, წარმართვას, რაც უზრუნველყოფს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობასა და ობიექტურობას. რეგულაციის შესაბამისად კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ ისინი სრულად აცნობიერებენ ინდიკატორის მოთხოვნას და გეგმავენ განახორციელონ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების სისტემატიური გადამზადება, შეფასების ინსტრუმენტების განვითარება, ვალიდაცია, გეგმიური ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფა. პროგრამებში გამოიყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
2. სკოლის მიერ შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით), სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომლის თანახმად ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობს: პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები (საჭიროების მიხედვით), ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია რისკების სისტემაც, რაც დაეხმარება დაწესებულებს ვერიფიკაციის პროცესის მართვაში. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**
3. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით) დაწესებულების მიერ გაწერილია შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისი გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ ინახება არქივში 5 წლით შემდეგ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის ან გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, დაიგეგმება შესაბამისის ღონისძიებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, (2024 წლის 07 ივნისის N130/1 ბრძანებით);
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

05.08.2024წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: